თეონა ხუფენია, ნესტან ფიფია

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2022.14.01

ასომთავრული „დონის -ს“ (Დ) სიმბოლურ-სახისმეტყველებითი დატვირთვის შესახებ

აბსტრაქტი: *სტატიაში მიმოხილულია ქართული ანბანის შესახებ განსხვავებული შეხედულებები (თ. ჩხენკელი, რ. პატარიძე) საკვლევი საკითხია ასომთავრული „დონის“ სიმბოლური დატვირვა. საგულისხმოა, რომ ეს ლაპიდარული წარწერები: მცხეთის ჯვრის გუმბათზე ამოღარული (ჩაჭრილი) და წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის ეგვტერზე ამოტვიფრული (რელიეფური) „დონი“ იკავებს ცალკე სივრცეს. ის არ უკავშირდება სიტყვას, ფრაზას, არ არის დეკორი, არ გამოხატავს თარიღს. შესაბამისად, მას თავისი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რადგან „ქართულ ასომთავრულში უთუოდ მოცემულია სამყაროს აგებულების კონცეფცია“ (რ. პატარიძე).*

ჩვენი დაკვირვებით, ის მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის გამომხატველი შეიძლება იყოს და შეითავსოს სახისმეტყველებით აზროვნებაში ადამიანის ორბუნებოვნების, მჭვრეტელობითი გზით განღმრთობის სიმბოლური გამოხატვა.

საკვანძო სიტყვები: *ასომთავრული, ანბანი, წარწერები, ლაპიდარული, სიმბოლო, ამოტვიფრული, მიკროკოსმოსი, მაკროკოსმოსი, რამაზ პატარიძე*

Teona Khupenia, Nestan Pipia

About the Symbolism of the Georgian Alphabet's Fourth Letter “Doni” (Დ)

Abstract: *The article reviews different opinions about the Georgian alphabet, namely, the works of Tamaz Chkhenkeli and Ramaz Pataridze. The research issue is the symbolic essence of the Georgian (Asomtavruli) alphabet's fourth letter, “Doni” (Დ).*

Notably, these lapidary inscriptions, such as those seen on the dome of Mtskheta Jvari temple and relief carving on the eukterion of Tsalenjikha Saviour Transfiguration church, are placed in isolation. These inscriptions are not part of a word or phrase, nor a date, neither do they serve as décor. Accordingly, they must have had an independent function, because " the concept of the structure of the world is undoubtedly given in Georgian Asomtavruli” (Ramaz Pataridze).

Additionally, Დ can be observed in similar ways, with 17 varieties in the parchment from the Hadishi Four Gospels (Svaneti. 10s of the XIII century) as no other letter can be found in such a separate way.

Based on our observations, it can be concluded that the (Დ) was both a microcosm and macrocosm of the symbolic expression of man’s apotheosis through the duality of human and divine and contemplation.

Keywords: *Asomtavruli, alphabet, inscriptions, lapidary, symbol, carving, microcosm, macrocosm, Ramaz Pataridze*

ქართული ანბანის წარმოშობის, განვითარების, სიმბოლურ-საკრალური არსის შესახებ შექმნილია ფუნდამენტური ნაშრომები. არსებობს თეორიები, ჰიპოთეზებიც, სარწმუნოც, ნაკლებ სარწმუნოც. კვლევით სამყაროში შეიძლება განივრცოს ძველი დამწერლობის ქართულ ასოთა სიმბოლურ- სახისმეტყველებითი დატვირთვის საკითხი.

ცხადია, ტოლდაუდებელია რამაზ პატარიძის ,,ქართული ასომთავრული". მეცნიერმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა ქართული ანბანის კვლევას. ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობდა: ივანე ჯავახიშვილის ,,ქართული პალეოგრაფია" საფუძველი და სწორი გეზი იყო კვლევისა, ეს გეზი საფუძველჩაყრილია 1914 წელს. ,,დასრულებულია კვლევა ქართული ანბანისა 1914--2014 წლებში, ქართული ანბანი ამოცნობილია",- რ. პატარიძეს ჰქონდა ამის თქმის უფლება. მან შეისწავლა ქართული ანბანის წარმოშობა, დაადგინა უძველესი ფესვები (ძვ. წ. აღ-ის VII- VI საუკუნეები), არსი, ბგერისა და რიცხვის ერთდროული გამოსახულება, რაც თავის მხრივ, დროჟამის ათვლის საშუალებაა. ,,ქართული ანბანი შექმნილია ქართველ ქურუმთა მიერ",- ამბობდა იგი.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურა მდიდარია იმ შრომებით, რომლებიც არასოდეს დაკარგავს ცხოველმყოფელობას: პავლე ინგოროყვას, ივანე ჯავახიშვილისა თუ თანამედროვე ავტორთა - მარიამ ნინიძისა და სხვათა გამოკვლევები -არსებულის საფუძველზე ახალი შტრიხების მოძიებით. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ თამაზ ჩხენკელის ანბანოლოგიურ ძიებაზე ,,ლაზარე, გამოვედ გარეთ". ავტორის აზრით, ფარნავაზის მიერ მწიგნობრობის შექმნა პეტრე იბერის მიერ მწიგნობრობის შექმნად მოიაზრება. ამდენად, თამაზ ჩხენკელი არ ეთანხმება რამაზ პატარიძის ,,ქართული ასომთავრულის" დებულებას, რომ ქართული ანბანი შექმნილია, არა ფარნავაზ მეფისა და საქართველოს დაარსების ხანაში, არამედ გაცილებით ადრე და მემატიანის ცნობა: ,,ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული", უნდა ნიშნავდეს არსებული ქართული დამწერლობის ერთიან, ქართულ სახელმწიფო დამწერლობად გამოცხადებას.

თამაზ ჩხენკელის მეცნიერული ნაშრომისადმი მიძღვნილ წერილში ,,ასომთავრულის მაგია", როსტომ ჩხეიძე მხატვრულ-მეცნიერული მიმზიდველობითა და

ლაკონიზმით მიმოიხილავს პავლე ინგოროყვას, თამაზ ჩხენკელის მოსაზრებებს. ჩვენთვის ერთგვარ დასკვნად, ზოგად ფორმულად ჟღერს სინთეზი შეხედულებებისა: ფარნავაზის ეპოქაში შექმნილმა ანბანმა იმთავითვე ,,შეიმოსა სიძველის იერი, რაკი ,,სიძველე“ შიშველი აბსტრაქტულობის დაძლევას გულისხმობდა და ეს ანბანი გაცილებით ადრე შეიქმნა“. წერილის ავტორი პირველ მოსაზრებას მეორის გამორიცხვის საფუძვლად არ მიიჩნევს და ამბობს: ,,ადვილი შესაძლებელია ანალიტიკოსმა და ხელოვანმა იმთავითვე მიანიჭოს ფორმას სრულქმნილება, თუმცა ამ ზოგადი მეთოდის არსებობაც არ ნიშნავს, რომ უგულებელვყოთ განვითარება - დახვეწის არსებობაც... და ამ სამზერიდან ასომთავრული ანბანის პირველივე დადასტურებული ძეგლები შეგვიძლია მეფე ფარნავაზის მიერ შექმნილი მწიგნობრობის გვიანდელ ნიმუშად მივიჩნიოთ, წარმართული დამწერლობის განბანვად ქრისტიანულ ემბაზში და მის ხელახალ დაბადებად (რ. ჩხეიძე -გვ. 4. 2010. (N 13).

ჩვენი კვლევის საგანია ასომთავრული ,,დონი“ და მისი სიმბოლურ-სახისმეტყველებითი დატვირთვა, ასომთავრულის ხასიათი გრაფიკულ-გამომსახველობითი და სიმბოლური მნიშვნელობით. რამაზ პატარიძის მოსაზრებით, ასომთავრული მონუმენტური ფუნქციისაა. ქართული ასომთავრული ანბანი მეცნიერთა ნაწილს, რამაზ პატარიძის მეთაურობით, სამყაროს შეცნობის დროინდელი აზროვნების შედეგად მიაჩნია. ითვლება, რომ მასზე უამრავი ბრძენი მუშაობდა და იგი დაკავშირებულია კალენდართან, მათემატიკასთან და მასში არის უამრავი სიმბოლო და მინიშნება“. რამაზ პატარიძის ხედვა კალენდარზე, რიცხვ-ბგერობრივ მთლიანობაზე ეყრდნობა იმას, რომ, მეცნიერის მოსაზრებით , ანბანის შექმნას უძღოდა ქურუმთა ასტრონომიული კვლევები. იგი თვლის, რომ ანბანი დრო-ჟამის კალენდარული სათვალავია. მისი გაცნობა გვიდასტურებს, რომ ძნელია სიმბოლოების ზუსტი ტერმინებით გამოხატვა. ცხადად იგრძნობა გნოსეოლოგიური მიდგომის უკმარისობა და სახელდასადები საგნის ესთეტიკური შემეცნების მცდელობისკენ გვეზიდება“ (პატარიძე-173. 1980) არეოპაგიტიკა უსასრულოდ ამრავლებს სახელ-ემანაციებს. სიმბოლურ-სახისმეტყველებითი აზროვნების დახვეწილი რეალობა სახეზეა დასტურად იმისა, რომ ,,უნივერსუმი უზენაესი სიკეთის მშვენიერ ანაბეჭდად რჩება თავისი მრავალსახელიანობით და ამასთანავე თავისი უღრმესი მთლიანობით“. (თ. ჩხენკელი -

276. ...) ესთეტიკის ისტორიისა თუ სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების სისტემაში არსებითად მნიშვნელოვანია, რომ არეოპაგელის (პეტრე იბერის) მიხედვით, ,,სახეთა, სიმბოლოთა და ნიშანთა საფარველქვეშ გარკვეული სახის სინათლის ინფორმაციაა დაფარული“ (თ. ჩხენკელი -289). მათი გამოყენებისას გამოვლენილი ერთგვარი კანონზომიერება არის სწორედ საშუალება მისი ანალიზისა. სწორედ ეს ,,სინათლის ინფორმაცია“ გეზიდება ადამიანს სახე-სიმბოლოების გახსნის წყურვილისკენ, ,,რაოდენი დასატევნელ არს“...

რამაზ პატარიძე ასოების სახელდების პრინციპის დახასიათებისას მიუთითებს, რომ ,,ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშანი მთვარის ღვთაების იდეოგრამაა, ხოლო ,,ან“ შუმერულად ცის ღმერთს ანუ მთვარის ღმერთს ნიშნავს. ასო-ნიშნის სახელდების ქართული პრინციპიც ეს არის“ (რ. პატარიძე -117. 1980). ამ მოსაზრების ერთგვარ ანარეკლად ერთ-ერთ ინტერვიუში მეცნიერმა დაასახელა მეგრული სიტყვა ,,ჟინიანთარი“. ალიო ქობალიას მეგრულ - ქართულ ლექსიკონში გვაქვს განმარტება: ,,ზეციური ღვთაება, რომელსაც მრავალი ფუნქცია მიეწერებოდა. ჟინი-ზეციური, ზენაარი, ზედა, უზენაესი“ (ალიო ქობალია - 432. 2010). რამაზ პატარიძის კვლევებში ასტრონომიული ხედვა თან სდევს ანბანთა დახასიათებას, რადგან ის მიაჩნია ,,ჟამეულების ათვლის სისტემად“. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ,,დონის“ აღწერილობაზე ,,ქართულ ასომთავრულში“. აქ ქართული ასომთავრული ,,დონი“ დახასიათებულია როგორც წრეზე დასმული ჯვარი და ,,ზესკნელური მზის გრაფიკული ნიშანი“. ნაშრომში ვკითხულობთ: ,,ასტროლოგიურად ანბანის მე-4 ასო-ნიშანი მე-4 ცას, მზის ცას განეკუთვნებოდა. ქართული ,,დონი“ მზის ზესკნელური ნიშანია და მე-4 ცაზე ზის“ (რ. პატარიძე -184. 1980).

ასომთავრული ,,დონის“ სიმბოლურ-სახისმეტყველებითი დატვირთვაზე დაკვირვების, შთაგონების წყარო ჩვენთვის გახდა მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის ერთ-ერთ ეგვტერზე ამოტვიფრული და მცხეთის ჯვრის გუმბათზე მიმოფანტული (ჩაჭრით გამოსახული) შვიდი გრაფიკული ნიშანი. წალენჯიხის ტაძარი ექვთიმე თაყაიშვილმა X-XI საუკუნეების ძეგლად მიიჩნია. ტაძარს XIV საუკუნეში სამი მხრიდან მიაშენეს ღია სვეტებიანი გალერეა; უფრო მოგვიანებით გალერეის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილები დადიანების სამარხ ეკვდერებად გადააკეთეს. სამხრეთით, კარიბჭის

მარცხნივ, მდებარეობს მანუჩარ დადიანისა და მისი მეუღლის ეგვტერი. ვარაუდობენ, რომ მშობლების ეგვტერი ლევან II დადიანმა განაახლა. მეცნიერულ კვლევებში დახასიათებულია ეგვტერის მოხატულობა, მისი ისტორიული მნიშვნელობა (ე. თაყაიშვილი, გ. კალანდია, გაბისონია), მაგრამ სწორედ კარიბჭის მარცხნივ, ეგვტერის შესასვლელთან ამოტვიფრული ასომთავრული ,,დონი" ნახსენები არ არის, არც აქ და არც წიგნში ,,წალენჯიხა". მაცხოვრის ტაძრის მოხატულობები" (წიგნი მომზადდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში) აქ მითითებულია, რომ: წალენჯიხის მხატვრობის აღქმისას მთავარი არა ხელწერისმიერი სხვაობებია, არამედ - მისი ხასიათი. ის გარეგნული სიმშვიდე და უჩვეულო ნათელმფენობა, რაც ისიხასტური მოძღვრების მიერ განღმრთობის გზად დასახული მჭვრეტელობისკენ უბიძგებდა უთუოდ მლოცველს (ი. ლორთქიფანიძე. ჯანჯალია- 9. 2011) ეს თავისებურება, მკვლევართა აზრით, შესაძლოა, ქართველი დამკვეთის გემოვნების წვლილსაც გულისხმობდეს. ხაზგასმულია მხატვრობის დახვეწილობა და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიულ პირთა გალერეაში მნიშვნელოვანი პორტრეტების შემატებით. (დანართი N 1 - წალენჯიხის ტაძარი).

ჩვენი კვლევითი ინტერესის გრაფიკული გამოსახულება, ცხადია, ლაპიდარულ წარწერას მიეკუთვნება. ასეთი წარწერები გვხვდება ეკლესიათა კედლებზე, უკვარცხლბეკო ქვა-ჯვრებზე, ქვა-ჯვრების კვარცხლბეკებზე საფლავთა ქვებსა და სარკოფაგებზე, ცალკეული ქვის ფილებზე. ბევრი ძეგლია გამოკვლეული და დადგენილია ლაპიდარული წარწერის თარიღი, ხასიათი, მნიშვნელობა. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სამეცნიერო- პოპულარული ნარკვევი ,,ტაო-კლარჯეთი" (გამომცემლობა ,,არტანუჯი"- 2018), სადაც ცალკე თავად არის გამოყოფილი ,,ქართული წარწერები ტაო-კლარჯეთში". დახასიათებულია უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლების სახით შემორჩენილი ლაპიდარული წარწერები. მკვლევრები უთითებენ, რომ ტაო -კლარჯეთში ლაპიდარული - ქვაზე ნაკვეთი წარწერები ყველაზე მრავლად გვხვდება. უძველეს ზუსტად დათარიღებულ ქართულ ლაპიდარულ წარწერას აკუთვნებენ 934 წლით დათარიღებულ შავშეთში, სოფელ ოქრობაგეთს ეკლესიის სააღმშენებლო წარწერას; გამოკვლეულია ოშკის სტელის, ხანძთის სამრეკლოს, პარხლის სამხრეთ ფასადის და სხვა წარწერები.

ლაპიდარული წარწერები დამწერლობის ხასიათის მიხედვით ასე ჯგუფდება:

ა) რელიეფური (V-XI ს.ს.) უძველესი ლაპიდარული წარწერები (V-VI ს.ს.) მხოლოდ რელიეფური დაწერილობითაა შესრულებული;

ბ) ამოღარული (ჩაჭრილი) ჩანს VII საუკუნიდან;

გ) კიდურწერტილოვანი - X საუკუნიდან;

დ) კიდურწაისრული - X საუკუნიდან.

მცხეთის ჯვრის ტაძრის გუმბათზე გრაფიკული ნიშანი ამოღარულია (ჩაჭრილი), (დანართი N 2) ხოლო წალენჯიხის ტაძრის ეგვტერის შესასვლელთან - რელიეფური, (დანართი N 3) თითოეული მათგანი ძალიან მკაფიოდ გამოხატულია, არ არის გახსნილი. მარიამ ნინიძე ნაშრომში ,,ასომთავრულიდან პირველსახისკენ", უთითებს, რომ ქართული ანბანის ხაზოვან- წრიული გრაფემათაგან უმეტესობა მიიდრიკა გახსნისკენ. ,, Ϙ (დ) კიანეთის სამების ეკლესიის სტელა-ჯვრის VIII ს-ის წარწერაში სამჯერ არის გამოყენებული და სამივეგან გახსნილია (იხ. აგრეთვე 6. 158; 31. ტაბ.5,IX) (მ. ნინიძე - 24) დასახელებულ შემთხვევებში მთლიანია. არ არის ნაწილი სიტყვისა ან ფრაზის, გამოსახულნი არიან იმ სივრცეში, სადაც ტექსტი საერთოდ არ არის. შესაბამისად, მას სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. ჯვრის მონასტრის კედლებზე გამოსახული ასო-ნიშნები სინგურისფერში ზის, როცა რიცხვის აღმნიშვნელია, ე. ი. ამოღარული ,,დონი" რიცხვის აღმნიშვნელი არ არის, ხოლო წალენჯიხის ტაძრის ,,დონი" აბსოლუტურად დამოუკიდებელ სივრცეშია გამოსახული, რელიეფურად ამოტვიფრული. სადავო არც უნდა იყოს, რომ ,,ქართულ ასომთავრულში უთუოდ მოცემულია სამყაროს აგებულების კონცეფცია" (რ. პატარიძე -383. 1980) . იქნებ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ფუნქციისაა ასომთავრული ,,დონი"? სტატიის სათაურით სწორედ ეს მეცნიერული ინტერესი გავამჟღავნეთ. ვთვლით, რომ ამ ასო -ნიშანს აქვს სიმბოლურ-სახისმეტყველებითი დატვირთვა. ამ თვალსაზრისით ის შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ რევაზ სირაძისეულ გრაფიკულ- სიმბოლურ მთლიანობას ,,ჯვარსახოვნებითი აზროვნება". თუ ლიტერატურის დეკოდირების სისტემაში ჯვრის ჰორიზონტალური ვექტორი შინაარსია, ხოლო ვერტიკალური - შინა არსი, ,,დონის" (Ϙ) ქვედა ნაწილი მიწიერი სამყაროა, სვეტით შეერთებული ზედა ხაზი - ზეციური. მკაფიოდ გამოკვეთილი,

ტაძრებზე (განხილულ ორ შემთხვევაში) ცალკე დავანებული ,,დონი“ შესაძლოა მიკროკოსმოსის, ან სულაც მაკროკოსმოსის სიმბოლო იყოს. თუ სპეციალისტები წალენჯიხის ტაძრის მოხატულობის განსაკუთრებულობას ხედავენ სიმშვიდესა და ნათელმფენობაში, რომელიც უზენაესთან შერწყმით მჭვრეტელობისკენ უბიძგებდა, ,,დონი“ იქნებ ამის სიმბოლოდ დასვა ხელოვანმა ამდენად თვალსაჩინოდ! ლიტერატურის სახისმეტყველებაში ის შეიძლება გამოხატავდეს ადამიანის ორბუნებოვნებას.

მონოგრაფიაში ,,ძენი დაბნეულნი“ (ნესტან ფიფია) ოთარ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტური რომანების პერსონაჟთა დარღვეული სტრუქტურა სიმბოლურად სწორედ ამ ნიშნით არის ახსნილი. ეს არის ქვეთავი მონოგრაფიაში, რომელსაც ჰქვია ,,ეროვნული სულის სტრუქტურის რღვევა“. გრაფიკული ნიშნების განხილული ფაქტების გარდა აქ დამოწმებულია XIII საუკუნის 10 -იანი წლების პერგამენტი იანიშის ოთხთავიდან, რომელზეც ეს ასოები - ფერადი, ოქროცურვილი, განსახოვნებულია 17 -ჯერ (ინახება მესტიის მუზეუმში. დანართი N 4) .

ზემოთ მოხმობილ მოსაზრებათა სიმრავლესთან ერთად დავიმოწმებთ ამონარიდს გიორგი გიგაურის ნაშრომიდან ,,ფარული ნიშნების სკიპტოგრამების შესახებ“. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ასომთავრულის ,,ფარული ნიშნებიდან განვითარებაზე“ და თვლის, რომ: ,,საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ფარული ნიშნები სერიოზულ კვლევას მოითხოვს“.

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია სკიპტოგრამების გაშიფვრის ან პროიბერიული ხაზიანი ფარული ნიშნების ამოხსნის, მაგრამ გვაქვს ზოგიერთი მოსაზრება განხილულ ლაპიდარულ გრაფიკულ ნიშანთან დაკავშირებით:

1. არ შეიძლება ეს გრაფიკული ნიშანი, რომელიც, ცხადია, არ არის ტაძრის დეკორატიული მონაკვეთი, არც თარიღს გამოხატავს, არც ფრაზის ან სიტყვის ნაწილია, უფუნქციოდ გამოესახა ხელოვანს, მას თავისი დანიშნულება უნდა ჰქონოდა.
2. შესაძლოა, ის იყოს სიმბოლო ეკლესიისა.
3. ეკლესიის სიმბოლოდ გამოსახული ,,დონი“ (Ď) თავისთავად მოიაზრებს ადამიანის ორბუნებოვნებას.

ვფიქრობთ, კვლევის გაგრძელება ჩვენს მოსაზრებას გაამყარებს .